ჩოხატაურის
სამოქალაქო ბიუჯეტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოქალაქეთა მიერ წარდგენილი იდეები.

2022 წელი

მიპოვე მარტივად.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში დაბის ტერიტორიის ყველა ქუჩაზე არსებულ საცხოვრებელ ეზოზე განთავსდება აბრები შესაბამისი ქუჩისა და ნომრის მითითებით, აბრებზე დატანილი იქნება ჩოხატაურის გერბის გამოსახულება.

პროექტის სავარაუდო ღირებულება შადგენს: 46 500 ლარს.

პროექტის ავტორი: ილია კეკელიძე.

დაბა ჩოხატაურში გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე მოედნის 3X3-ზე კალათბურთის სათამაშოდ ადაპტირება.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში გოგებაშვილის ქუჩა N1_ში მდებარე მოედანი ადაპტირდება თანამედროვედ 3X3-ზე კალათბურთის სათამაშოდ. რაც გულისხმობს მის სრულ რეკონსტრუქციას. ასევე მოწესრიგდება მიმდებარე ტერიტორია და აღიჭურვება სპორტული ეზოს ტრენაჟორებით.

პროექტის სავარაუდო ღირებულება შადგენს: 8 100 ლარს

პროექტის ავტორი:ზაზა კეშელავა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა, სახელწოდებით „ჩემი ოდა“.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში კეთილმოეწყობა მუზეუმის ეზო, მოხდება ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობა და გურული ოდის აშენება სახელწოდებით „ჩემი ოდა“.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა:10 000 ლარი.

პროექტის ავტორი: ნათელა კალანდაძე.



ჩოხატაურის მინიატურული პარკი.

პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავი ადგილების მინიატურათა ერთ სივრცეში განლაგება, ამისათვის კეთილმოეწყობა კრიმანჭულის პარკი და მასში განთავსდება ჩოხატაურში არსებული 9 ძირითადი ღირსშესანიშნაობის მაკეტი: ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი, ჩოხატაურის კულტურის ცენტრი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, უდაბნოს მამათა მონასტერი, ერკეთის დედათა მონასტერი, ნიკო მარის სახლ-მუზეუმი, გორა ბერეჟოულში არსებული ერისთავების რეზიდენცია, კურორტ ბახმაროს ეკლესია და გურული ოდა ღვინის მარნის ელემენტებით.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა:43 000 ლარი

პროექტის ავტორი: ნიკა სოროზანიშვილი.

საბავშვო გასართობი სივრცე 9 აპრილის პარკში.

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა 9 აპრილის პარკში დამონტაჟდეს მრავალფუნქციური კომპლექტური ატრაქციონი ბავშვებისთვის; მბრუნავი კარუსელი; ასაცოცებელი კედელი; საქანელები; ზამბარიანი ცხოველის ფორმის სათამაშო და ქვიშა.

სკვერში პატარებს შესაძლებლობა ექნებათ ერთად დაკავდნენ, როგორც სპორტული ისე გასართობი აქტივობებით, რაც ხელს შეუწყობს მათთვის სხვადასხვა უნარების განვითარებას.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა:50 000 ლარი

პროექტის ავტორი: ლაშა ბერძენიშვილი.

ღია სივრცე და მოძრავი ინვენტარი ახალგაზრდებისათვის.

პროექტის ფარგლებში საჭიროა მოხდეს შემდეგი ინვენტარის შეძენა: პროექტორის ეკრანი დასადგამით, პროექტორი ღია სივრცეში გამოსაყენებლად, ლეპტოპი, მიკროფონი, დინამიკები, ფერადი პუფები და კარვები.

აღნიშნული ინვენტარი იქნება მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში და საჭიროების შემთხვევაში დაბის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდები და არამარტო მიმართავენ მერიას და გამოიყენებენ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების დროს. ეს იქნება კინოჩვენება ღია ცის ქვეშ, სხვადასხვა სპორტული თამაშების ჩვენება, ელექტრონული თუ სხვა მუსიკალური ან ინტელექტუალური ღონისძიებებისა და საღამოების მოწყობა.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა: 13 700 ლარი

პროექტის ავტორი: შაკო მეფარიშვილი.

მინი გასართობი სკვერი ბავშვებისთვის (გოგიბერიძის ქუჩაზე).

პროექტის ფარგლებში გაშენდება სპეციალური სკვერი და სათამაშო ქვიშის მოედანი ბავშვებისთვის, მოეწყობა სატრენაჟორო სივრცე, საქანელები, მინი ატრაქციონი, სკვერისთვის განკუთვნილი სკამები, გამწვანება და განათება.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა: 47 000 ლარი.

პროექტის ავტორი: ნინო ჩიგოგიძე.

მეტი სათამაშო-მეტი განვითარება

 პროექტის ფარგლებში N1 ბაგა-ბაღი, N 2 ბაგა-ბაღი და N 1 საბავშვო ბაღი აღიჭურვება ბუნებრივი ხის, ეკომეგობრული, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, განმავითარებელი სათამაშოებით, რაც პატარებში მეტ მოტივაციასა და მეტ ჰოლისტურ განვითარებას განსაზღვრავს. აღმზრდელ-პედაგოგებს, რათა სწორად განსაზღვრონ სამუშაო პროცესში ბავშვის ჩართვის გზები და ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად დაგეგმონ განმავითარებელი თამაშები, აუცილებლად სჭირდებათ რესურსები განმავითერებელი სათამაშოების სახით.

პროექტი მოცავს ასევე 9 აპრილის სკვერისათვის მინი ატრაქციონების შეძენას.

N 1 ბაგა ბაღსა და N 1 საბავშო ბაღში ეზოს (და არამარტო) სათამაშოების შეძენას, რომელთა დადგმა და გამოყენება შესაძლებელია აღსაზრდელთა ჯგუფებისთვის გამოყოფილ ადგილას.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა: 16, 038 ლარი.

პროექტის ავტორები: მავრა ცერცვაძე, ანა გიორგაძე

ჩოხატაურის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის მომსახურებები.

წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ისეთი სივრცის გაჩენას, რომელიც ინდივიდუალიზირებულ მხარდაჭერას გაუწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და გააუმჯობესებს მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

პროექტის აქტივობები განხორციელდება ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის ხელმძღვანელობით და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ერთი დამატებითი თანამშრომლის ჩართულობით, რომელსაც გააძლიერებს, დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევს ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის თანამშრომლები.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა:37 200 ლარი

პროექტის ავტორი: ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი

,,ავად გახდა ბუნება, გაუფუჭდა გუნება, დავდგით ბევრი ურნა, უცბათ განიკურნა''

,,პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა 20 ნაგვის ურნა 240 მლ ტევადობის. მოცემული ურნები განთავსდება 5 ცენტრალურ წერტილში შესაბამისი მითითებით, რომელიც ნარჩენების დახარისხების საშუალებას მისცემს ადამიანებს. ჩვენის მხრივ კი მათ ქცევას წამახალისებელი აქტივობებით შევხვდებით, ასევე საინფორმაციო კამპანიასაც გავუძღვებით. ჩვენი ინიციატივა ხელს შეუწყობს ჩოხატაურელი მოსახლეობის ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული სტრატეგიების გამოყენებით

შესაბამისად ჩვენი მხრიდან შეთავაზებული იქნება ალტერნატიული სწორი მიდგომები, რაც გულისხმობს ნარჩენების სეპარირებასა და შემდგომ მართვას, პლასტმასის შემცირებასა და პოლიეთილენის ჩანაცვლებას

ჩვენ მოვიძიეთ სხვადასხვა ორგანიზაცია, რომელიც ნარჩენების გადახარისხებით არის დაინტერესებული, შესაბამისად მათთან თანამშრომლობით შესაძლებელია გადამუშავება. მეორეს მხრივ კი შესაძლოა ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებასაც დაედოს საფუძველი და შეიქმნას მსგავსი დანიშნულების საწარმოები.“

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა:6000 ლარი

პროექტის ავტორები: ია ხუხუნაიშვილი, იზიკო სიხარულიძე, კესო კუტუბიძე.

საფეხბურთო მოედანი დაბის ცენტრში

პროექტის ფარგლებში განხორციელდება დაბა ჩოხატაურში მდებარე მინი-საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია, კერძოდ საჭიროა შეიცვალოს ხელოვნური საფარი მაღალი ხარისხის საფარით, მოხდეს საფეხბურთო კარებების რეკონსტრუქცია შეღებვა, მოეწყოს კალათბურთის ფარები (2-2 კომპლექტი), პლასმისის დასაჯდომი სკამების მოწყობა ლითონკონსტრუქციაზე, დასაჯდომების წინ მავთულბადის ღობის მოწყობა, საფეხბურთო მოედანი შემოღობილია მავთულბადით და საჭიროა მისი შეღებვა ანტისაპტიკური ზეთოვანი საღებავით.

მოედნის გვერდით გარე ტრენაჟორებისა და სასმელი წყლის სოკოს მოწყობა.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა:50 000 ლარი

პროექტის ავტორები:თამთა ცინცაძე, თენგიზ ნინიძე.

იოგა გამაჯანსაღებელი ვარჯიშები.

პროექტის ფარგლებში მოხდება სპორტული ინვენტარისა და ტრენაჟორების შეძენა და განთავსება დაბა ჩოხატაურის სპორტ დარბაზში.

ინსტრუქტორის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდება გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, რაც ემსახურება ჯანსაღი თაობის აღზრდას, მოსახლეობის საერთო ტონუსის ამაღლებას და მათი ჯანმრთელობის გამუმჯობესებას.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა: 29 742 ლარი

პროექტის ავტორი: მზია ნემსაძე.

მამოგრაფიაზე დაფუძნებული უფასო სკრინინგ პროგრამის დანერგვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის.

პროექტის მიზანია მკერდის კიბოს სკრინინგის პროგრამის დანერგვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სადაც რეგიონში მცხოვრებ ქალებს ექნებათ შესაძლებლობა უფასოდ ჩაიტარონ დიაგნოსტირება და თავიდან აირიდონ მკერდის კიბოთი გამოწვეული ავადობა.

სკრინინგის დანერგვისათვის, პროექტის ფარგლებში მოხდება მამოგრაფიის აპარატის შეძენა და განთავსება ,,შპს ჯანმრთელობის სახლი გურიაში" არსებულ, წინასწარ უსასყიდლოდ დროებით საკუთრებაში გადმოცემულ ფართში.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა: 35 000 ლარი.

პროექტის ავტორი: სალომე გუდავაძე.

ხიდის მშენებლობა

პროექტის ფარგლებში ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე უნდა აშენდეს ახალი ხიდი, მილხიდი მოეწყოს ჯებირები და დამცავი საშუალებები.

აღნიშნულ ლოკაციაზე ამ დროისთვის შეუძლებელია გადაუდებელი აუცილებლობის სერვისებით სარგებლობა, რადგან სასწარაფო და სახანძრო მანქანები ვერ ახერხებს გადაადგილებას.

პროექტის სავარაუდო ღირებულებაა: 50 000 ლარი.

პროექტის ავტორი: ნონა ჩხიკვაძე



📢

✅ გამარჯვებულ იდეებს ავლენენ მოქალაქეები ხმის მიცემის გზით.

✅ იდეებისთვის ხმის მიცემაში მონაწილეობა შეუძლია დაბა ჩოხატაურში რეგისტრირებულ 14+ წლის მოქალაქეს.

მონაწილეობა=კეთილდღეობას.

პროექტს "ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტი" ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის და გერმანული ორგანიზაცია "პური მსოფლიოს" მხარდაჭერით.